სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 30

2023 წლის 10 მარტი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინტერნაციონალური სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N267742, 07.03.2023) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ინტერნაციონალური სტრატეგია ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის №64).

ერეკლე ასტახიშვილი

ევროკავშირი
საქართველოსთვის



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია

ქართული მეცნიერების დაკავშირება მსოფლიოსთან

science KNOW — business GROW

umweltbundesamt · JOANNEUM RESEARCH · FWF Der Wissenschaftsfonds. · DLR Projektträger · FFG

სარჩევი

ზოგადი მიზნები 3

სტრატეგია 4

ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობისა და ასოცირების შეთანხმების ძირითადი პოლიტიკის მხარდაჭერა 4

საერთაშორისო მობილობისა და ერთობლივი კვლევის ხელშეწყობა 6

პარტნიორი ორგანიზაციების ქსელების ჩამოყალიბება 7

ღია მეცნიერების ხელშეწყობა 7

მეცნიერებასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაუმჯობესება 9

სამეცნიერო დიპლომატიის გაძლიერება ქართული დიასპორის ჩართულობით ქვეყნის სამეცნიერო ეკოსისტემის განვითარებისთვის 11

გეგმის შემდგომი განვითარება 12

მართვის მექანიზმები 12

კონტროლის მექანიზმები 12

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია შემუშავებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „ინტერსექტორალური თანამშრომლობის შესაძლებლობების მხარდაჭერა კვლევასა და ინდუსტრიას შორის" ფარგლებში. ინტერნაცინალიზაციის დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის ტვინინგის პროექტის ფარგლებში დაწყებული დიალოგის შედეგად.

ეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან პროექტის განმახორციელებელი პარტნიორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ზოგადი მიზნები

ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ქვეყანამ განახორციელა მთელი რიგი რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს პოსტსაბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნას და ახალი სისტემის შექმნას, რომელიც იქნებოდა სწრაფად ცვალებადი გლობალური მოთხოვნების შესაბამისი და კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991წ.), მეცნიერების განვითარება საგრძნობლად შენელდა, რადგან არსებული სისტემა იყო ჩამოშლილი, ხოლო მეცნიერების მართვის ახალი სისტემა ვითარდებოდა ნელი ტემპით. საქართველოს კვლევების დაფინანსების მაჩვენებელით იმ ქვეყნების ჩამონათვალშია, რომლებსაც არ გააჩნიათ მაღალი დაფინანსება. ბოლო წლებში საქართველომ თანდათან დაიწყო კვლევისა და განვითარების ხარჯების ზრდა მშპ-ს 0,08%-დან (2013 წ.) 0,32%-მდე (2021წ.).

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი დაარსდა 2010 წელს. ორგანიზაციის მთავარი მიზანია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში. ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმადაა წარმოდგენილი ფონდის მიერ ადმინისტრირებულ თითქმის ყველა პროგრამაში. ამასთან, მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ფონდი ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- ✓ რუსთაველის ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი - ქართველოლოგიის კვლევითი პროგრამა;
- ✓ რუსთაველის ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის (Forschungszentrum) ერთობლივი პროგრამა მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის;
- ✓ საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და რუსთაველის ფონდის ერთობლივი კონკურსი - სამეცნიერო თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამა;
- ✓ ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამაში „Horizon 2020" ქართველი მეცნიერების მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით გამოცხადებული კონკურსი;
- ✓ რუსთაველის ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) სასტიპენდიო პროგრამა;
- ✓ რუსთაველის ფონდისა და თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევითი საბჭოს (Tubitak) ერთობლივი საგრანტო კონკურსი;
- ✓ საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა (CNRS) და რუსთაველის ფონდის სამეცნიერო თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამები;
- ✓ რუსთაველის ფონდისა და იტალიის ეროვნული კვლევების საბჭოს (CNR) ერთობლივი კონკურსი;
- ✓ კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით;
- ✓ მიზნობრივი კვლევისა და განვითარების ინიციატივების (TRDI) პროგრამის ფარგლებში ჩატარებული რუსთაველის ფონდის და უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის (STCU) ერთობლივი კონკურსი;
- ✓ მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროგრამები.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში არსებულ გამოწვევათაგან მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტუალურია:

ახალგაზრდა მკვლევრების მოზიდვა და მათი მეცნიერებაში ინტეგრირება - უკანასკნელ პერიოდში შესამჩნევია ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა გააქტიურება სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში. აპლიკანტებს, რომლებსაც დაცული აქვთ დისერტაცია ბოლო 7 წლის განმავლობაში, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ რუსთაველის ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის დაფინანსების კონკურსში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ახალგაზრდა მეცნიერთა საერთო რაოდენობა, რომლებმაც დოქტორის ხარისხი მოიპოვეს 2014-2020 წლებში, 2933-ს შეადგენს. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის დაფინანსება 2021 წლის და 2022 წლის კონკურსებში ჯამში-მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 1000-მა ახალგაზრდა მეცნიერმა.

სტრატეგია

2021 წლის 7 დეკემბერს ევროკომისიამ და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო-პროგრამის „Horizon Europe " ასოცირებული წევრის სტატუსი (2021-2027). ასოცირების საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, ქართველ მკვლევრებს, ინოვატორებს და კვლევით სუბიექტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ 95,5 მილიარდი ევროს ოდენობის დაფინანსების პროგრამაში, იმავე პირობებით, რითაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები სარგებლობენ.

შესაბამისად, „Horizon Europe"-ის პროგრამაში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობა რუსთაველის ფონდის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობისა და ასოცირების შეთანხმების ძირითადი პოლიტიკის მხარდაჭერა

- **მიზნის აღწერა**

ევროპულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავება. საქართველოს კვლევითი პოტენციალის განვითარებისათვის აუცილებელია ინტეგრაცია ევროპულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში. ამისთვის ფონდის მიზანია მოახდინოს:

✓ რუსთაველის ფონდის პოლიტიკის შემუშავება ევროკომისიის ახალი გეგმის გათვალისწინებით, რომელიც ეხება ევროპის კვლევითი სივრცეში ინტეგრირებას და დაფუძნებულია სამეცნიერო გამორჩეულობის პრინციპზე;

✓ ქართველი მკვლევრების და სამეცნიერო ჯგუფების მობილობის გაძლიერება სპეციალური საგრანტო კონკურსების გამოცხადებით და მობილობის კომპონენტის დაფინანსებით;

✓ „ჰორიზონტ ევროპის" საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა / რუსთაველის ფონდის ინსტიტუციური ჩართულობა;

✓ სამოქმედო დღის წესრიგში ევროპული კვლევის პოლიტიკის განვითარების გათვალისწინება და შესაბამისი ინიციატივების ხელშეწყობა (მაგ. ევროპის კვლევითი სივრცე, მისიები, პარტნიორობები, მწვანე გარიგება და ა.შ.);

✓ ევროპის პარტნიორ ორგანიზაციებთან გამოცდილების გაზიარების ფორმატში მონაწილეობა კვლევის პოლიტიკისა და მენეჯმენტის საუკეთესო პრაქტიკის მისაღებად.

✓ საქართველოს საგრანტო პროგრამების „ჰორიზონტ ევროპის" პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა პროგრამებში მონაწილეობა ხელმისაწვდომი გახდეს ევროკავშირის შესაბამისი სამეცნიერო და კვლევითი ორგანიზაციებისთვის და ინდივიდებისთვის (ნაცვალგების პრინციპი);

✓ საქართველოს კვლევითი საზოგადოების ევროპულ პროგრამებსა და კონსორციუმებში მონაწილეობის წახალისება და კვლევითი სისტემის შესაძლებლობების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ევროპულ პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ეროვნული მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

✓ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის კავშირების გაძლიერება ახალი ცოდნის, ტექნოლოგიებისა და სერვისების საშუალებით.

პოტენციური საქმიანობის სფეროები

✓ მონაწილეობა მისიებში, პარტნიორობის პროგრამებში და ა.შ;

✓ ქართველი მკვლევრებისთვის მობილობის ახალი სქემების შემუშავება;

✓ საქართველოს „ჰორიზონტ ევროპის" ოფისის ხელშეწყობა (ტრენინგები, გაცვლითი პლატფორმები, დამაკავშირებელი ღონისძიებები;

✓ კონკრეტული საქმიანობის სფეროების იდენტიფიცირება და "ჰორიზონტი ევროპის" საგრანტო კონკურსებისთვის ახალი საპროექტო წინადადების შემუშავება;

✓ მარეგულირებელი დოკუმენტების კორექტირება ნაცვალგების პრინციპის დაცვით;

✓ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა შავი ზღვის „ლურჯი ზრდის" კვლევისა და ინოვაციების ინიციატივების მხარდაჭერით;

✓ ევროკავშირის საგრანტო პროგრამებთან დაკავშირებით მიზნობრივი ინფორმაციის გავრცელება შესაბამისი საკომუნიკაციო პლატფორმების საშუალებით;

✓ საქართველოს ეროვნული საკონტაქო პირებისთვის განკუთვნილ კონკრეტულ მიზნობრივ ტრენინგებში, სემინარებში, ვებინარებსა და სხვა შესაბამის აქტივობებში მონაწილეობა და მათი ორგანიზება;

✓ ევროპის კვლევითი სივრცის პოლიტიკის დღის წესრიგის განხილვის მიზნით, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დამყარება;

✓ ბიუჯეტის განაწილება და „ჰორიზონტი ევროპის" პარტნიორობაში გაწევრიანება (ევროკავშირის კონსორციუმებში გაწევრიანების მიზნით);

✓ ფინანსური რესურსების მობილიზება, რათა მოხდეს საქართველოს ჩართულობა სხვადასხვა პარტნიორობის სქემებსა და ინიციატივებში, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების სივრცესთან მაქსიმალური კავშირის დასამყარებლად;

✓ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ინიციატივებში ეროვნული საკონტაქტო პირის მონაწილეობა, ქსელების შექმნისა და კონკრეტულ კვლევით სფეროებში იდეების გაცვლის მიზნით;

✓ „ჰორიზონტ ევროპისთვის" შესაბამისი თემების შერჩევა და ქართველ მკვლევარ საზოგადოებასთან მიმართებით სამოქმედო გეგმის შემუშავება;

- ✓საპროექტო წინადადების წერის უნარ-ჩვევების ამაღლება და ქართველი პარტნიორებისთვის კონსორციუმის შექმნის მიზნით შესაბამისი საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის ძიებაში დახმარება (რჩევები, რომლებიც ეხება მონაცემთა ბაზას, გაცვლით პლატფორმებსა და ღონისძიებებს);
- ✓ევროკავშირის საგრანტო პროგრამების საკონტაქტო პირებს შორის, რომელშიც ჩართულია საქართველო (მათ შორის სამინისტრო და ეროვნულ საკონტაქტო პირთა ოფისი) ინფორმაციის გაცვლაში ხელშეწყობა;
- ✓ქართველ მეცნიერთათვის ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანიებისა და შეხვედრების ორგანიზების ხელშეწყობა;
- ✓ძლიერი ეროვნული საკონტაქტო პირების ქსელის დაფუძნების ხელშეწყობა;
- ✓საქართველოს ეროვნული საკონტაქტო პირების ქსელის აქტიური მხარდაჭერა ღონისძიებებში, მრგვალ მაგიდებში, დისკუსიებში, სამუშაო შეხვედრებსა და სხვა ინიცირებულ აქტივობებში აქტიური მონაწილეობით.

საერთაშორისო მობილობისა და ერთობლივი კვლევის ხელშეწყობა

მიზნის აღწერა

საერთაშორისო სამეცნიერო ქსელის მიმართ რუსთაველის ფონდის მიზანს წარმოადგენს მკვლევართა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერული აღმოჩენების პროცესის დაჩქარება კვლევის შედეგებისა და იდეების გაცვლის გზით, ასევე მკვლევრების მომზადება და საერთაშორისო თანამშრომლობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვა. ფონდის დაფინანსების პროგრამები მიზნად ისახავს მკვლევრების მხარდაჭერას სხვადასხვა მობილობის შესაძლებლობების უზრუნველყოფით მათი შემდგომი კარიერული განვითარებისთვის.

მობილობის მხარდაჭერა

ქართველი მეცნიერების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, ფონდი შეიმუშავებს მობილობის შესაბამის პროგრამებს მკლევართა აკადემიური ხარისხის შესაბამისად.

ერთობლივი კვლევითი პროგრამები

გაღრმავდება თანამშრომლობა საქართველოსა და საერთაშორისო ფონდებს შორის, მკვლევართა მობილობის ხელშეწყობისა და სამეცნიერო წრეების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროებში ინტეგრაციის მიზნით, ასევე წახალისდება ახალი თანამშრომლობის ჯგუფების ჩამოყალიბება.

პოტენციური საქმიანობის სფეროები

ხელი შეეწყობა არსებულ ორმხრივ თანამშრომლობას და ახალი პარტნიორი ორგანიზაციების იდენტიფიცირებას საერთაშორისო დონეზე, რათა შეიქმნას ახალი თანამშრომლობის სქემები, რაც მოიცავს ქვემოდან ზევით (buttom up) პროცესზე დაფუძნებული კონცეფციების მომზადებას (სამიზნე ჯგუფთან გაცვლა მათ საჭიროებებთან დაკავშირებით), საპილოტე ფაზის განხორციელებას და შეფასებას პროგრამებისთვის, რომლებიც თავის მხრივ გულისხმობს:

- ✓ მობილობის პროგრამების შემუშავებას მასშტაბისა და მოცულობის მიხედვით;
- ✓ ერთობლივ სამეცნიერო პროგრამებს უცხოელ პარტინორ ორგანიზაციებთან;

- ✓ კავშირების განვითარების(Networking grants) გრანტებს, რომლებიც მოიცავენ საკონფერენციო გრანტებს.

პარტნიორი ორგანიზაციების ქსელების ჩამოყალიბება

მიზნის აღწერა

ძლიერი საერთაშორისო პარტნიორობა საფუძველს უყრის ახალ კვლევითი ქსელებს და თანამშრომლობებს, რაც საშუალებას მისცემს ქართველ მეცნიერებს გააფართოვონ საერთაშორისო კავშირები. ურთიერთსწავლებით, საუკეთესო პრაქტიკის გაცვლით, რუსთაველის ფონდი გააძლიერებს თავის შესაძლებლობებს და მოიპოვებს ორგანიზაციულ განვითარებას (მაგ. უფრო მეტი თანამშრომლობა საერთაშორისო საზოგადოებასთან, წვდომა საერთაშორისო ინფრასტრუქტურებზე, როგორიცაა მონაცემთა ბაზები და ა.შ.).

რუსთაველის ფონდის ერთ-ერთი მიზანია ითანამშრომლოს პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც სთავაზობენ ერთობლივი პოლიტიკის შემუშავების, ურთიერთსწავლების, ერთობლივი კვლევების ჩატარების, სტიპენდიების გაცემის, სტაჟირების, ქართველოლოგიის მიმართულების განვითარებისა და სხვა საერთო ინტერესების განხორციელების შესაძლებლობებს.

პოტენციური საქმიანობის სფეროები

- ✓ მოხდება ახალი თანამშრომლობის ინიციატივების მხარდაჭერა კვლევისა და ინოვაციების ახალ პროგრამებში, ასევე ერთობლივ კვლევით პროგრამებში;
- ✓ ხელი შეეწყობა ქსელურ ორგანიზაციებში ჩართულობას. ვინაიდან, კვლევა და ინოვაცია არის რეგიონის მდგრადი და ეკოლოგიურად სუფთა „ლურჯი ზრდის" გასაღები, ფონდისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სამეცნიერო ფონდებთან ქსელის შექმნა და თანამშრომლობა. რეგიონული თანამშრომლობის ფორმატში შავი ზღვის კვლევების განვითარების მხარდაჭერა შავი ზღვის სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგის (SRIA) იმპლემენტაციის ხელშემწყობი ფაქტორი იქნება;
- ✓ გაძლიერდება ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის (ISTC)-ის საქმიანობაში (მმართველი საბჭოები, კონფერენციები).

ღია მეცნიერების ხელშეწყობა

- **მიზნის აღწერა**

ღია მეცნიერებას აქვს პოტენციალი გახადოს სამეცნიერო პროცესი უფრო გამჭვირვალე და ინკლუზიური. მას გადამწყვეტი როლი აკისრია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხარვეზების აღმოფხვრაში და ემსახურება მეცნიერებაში ადამიანის უფლებების დაცვას.

ღია მეცნიერება განიმარტება, როგორც ყოვლისმომცველი კონცეფცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მოძრაობას და პრაქტიკას, რომლის მიზანია გახადოს მრავალენოვანი სამეცნიერო ცოდნა ყველასთვის ღია, ხელმისაწვდომი და ხელახლა გამოყენებადი, გაზარდოს სამეცნიერო თანამშრომლობა და ინფორმაციის გაზიარება მეცნიერებისა და საზოგადოების სასარგებლოდ და საფუძელი ჩაუყაროს სამეცნიერო ცოდნის შექმნის და

შეფასების პროცესს და მიიტანოს ინფორმაცია არამხოლოდ ტრადიციულ სამეცნიერო საზოგადოებამდე, არამედ საზოგადოების სხვა წევრებამდეც.

საჯარო რესურსების გამოყენებით შექმნილი კვლევითი აქტივობების შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის უანგაროდ.

ღია მეცნიერების პოლიტიკა ევროკომისიის პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს. ღია მეცნიერების კვლევისა და ინოვაციების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამები ეფუძნება სტანდარტს, რომელიც კვლევის ხარისხის, ეფექტურობისა და უკუკავშირის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. უახლესი ცოდნის გავრცელება ღია მეცნიერების მთავარი მიზანია, რისთვისაც ევროკომისია სამეცნიერო პროდუქტის (კვლევა, ინოვაცია) ხელმისაწვდომობის მიზნით, მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს, მათ შორის აღსანიშნავია: ღია წვდომის ხელშეწყობა სამეცნიერო კვლევაზე, ინოვაციებსა და მონაცემთა ბაზებზე; აკადემიური საზოგადოების, სამეწარმეო და საჯარო სექტორისა და მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა კვლევისა და ინოვაციების შექმნის პროცესში; ინტერდისციპლინურობის ხელშეწყობა და სხვ.

ღია მეცნიერების ამოცანებია:

- ✓ თანასწორობის პრინციპის საფუძველზე ღია მონაცემების არსებობა;
- ✓ ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის დანერგვა;
- ✓ ახალი თაობის გაზომვის დადგენა (ინდიკატორი);
- ✓ ღია მეცნიერების პრინციპებზე დაფუძნებული სამეცნიერო კომუნიკაცია;
- ✓ სამეცნიერო კარიერაში ხელშეწყობა ღია მეცნიერების პრინციპებზე დაყრდნობით;
- ✓ დაცვის უსაფრთხოების საიმედოობისა და განმეორებადობის სტანდარტები;
- ✓ მკვლევართა შესაძლებლობების განვითარება ღია მეცნიერების პრინციპებთან ადაპტაციისთვის;
- ✓ სამოქალაქო მეცნიერების ხელშეწყობა.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის ღია მეცნიერების ღრუბელთან და უშუალოდ არის ჩართული ღია მეცნიერების პოლიტიკის შემუშავებისა და ღია მეცნიერების ღრუბლის შექმნის პროცესში, რაც წარმოადგენს საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ევროპულ კვლევით სივრცეში ინტეგრაციის ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობას.

პოტენციური აქტივობები

- ღია მეცნიერებისა და ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის ეროვნული პოლიტიკის შემუშავებასა და სამოქმედო გეგმის (2023-2030) განხორციელებაში სამეცნიერო-კვლევითი და ფართო საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენელთა (მათ შორის, აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების) ჩართულობის ხელშეწყობა;
- ღია მეცნიერების ინტეგრირება ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსების პროგრამაში; საგრანტო პროექტების შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად ღია მეცნიერების პრინციპის განსაზღვრა; ღია მეცნიერების პრინციპებზე დაფუძნებული საგრანტო პროექტების ხელშეწყობა; ევროპის ღია მეცნიერების ღრუბელთან ასოცირებული კვლევების წახალისების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა;
- ღია მეცნიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ღია მეცნიერების მხარდამჭერი კონკურსების შემუშავება და განხორციელება;

- ღია მეცნიერების პრინციპებზე დაფუძნებული - ძებნადი, წვდომადი, ურთიერთთავსებადი და ხელახლა გამოყენებადი სამეცნიერო მასალების (კვლევის მონაცემების, კვლევის შედეგების, პუბლიკაციების და სხვ.) შექმნის, დამუშავების, თავმოყრისა და მათზე ღია წვდომის ხელშეწყობა;
- უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის მხარდამჭერი საზოგადოებრივი საქმიანობის ხელშეწყობა;
- სამეცნიერო-კვლევით და საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ღია მეცნიერების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლება - სხვადასხვა სახის აქტივობების საშუალებით (ტრენინგები, კონფერენციები, ლექციები და სხვ.);
- ღია მეცნიერების პრინციპებზე დაფუძნებული, არსებული ადგილობრივი მონაცემთა ბაზების დახვეწისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა. ღია მეცნიერების საერთაშორისო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
- ღია მეცნიერების პრინციპებზე დაფუძნებული კვლევებისა და მონაცემთა ბაზების კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
- ევროპის ღია მეცნიერების ღრუბელთან თავსებად სამეცნიერო ჟურნალებში ქართველ მეცნიერთა პუბლიკაციების მხარდაჭერა;
- ღია მეცნიერების ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერა;
- ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის ეროვნულ სამეთვალყურეო საბჭოსა და ღია მეცნიერების მხარდამდამჭერ ჯგუფებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა;
- ღია მეცნიერების მონიტორინგის მექანიზმის შექმნასა და დანერგვაში მონაწილეობა;
- ღია მეცნიერების ეროვნული პლატფორმის შექმნაში მონაწილეობა და შესაბამისი აქტოვობების მხარდაჭერა; მათ შორის, ღია მეცნიერების პრინციპებზე დაფუძნებული სხვადასხვა ადგილობრივი პლატფორმის შექმნის, დახვეწისა და ერთმანეთთან ურთიერთთავსებადობის მხარდაჭერა;
- ევროპის ღია მეცნიერების ღრუბელთან საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის ინტეგრაციის მიმართულებით ინიციატივების მხარდაჭერა;
- ღია მეცნიერების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამოქალაქო მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა.

მეცნიერებასა და ინდუსტრიას შორის კავშირების გაუმჯობესება

მიზნის აღწერა

•მეცნიერებასა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის გაძლიერება საერთაშორისო პარტნიორებთან ქსელების/საშუამავლო შეხვედრების საშუალებით

რუსთაველის ფონდი, როგორც კვლევის მთავარი დამფინანსებელი ორგანიზაცია, ხელს შეუწყობს საერთაშორისო პარტნიორებთან კავშირების დამყარებას. ფონდი აქტიურად გაავრცელებს ინფორმაციას მიმდინარე და მომავალი კონკურსების შესახებ („ჰორიზონტი ევროპა“, ევროკავშირის სხვა პროგრამები), დაფინანსების სხვადასხვა ინსტრუმენტისა და პარტნიორული ინიციატივების საშუალებით.

•ცოდნის გადაცემა: უნივერსიტეტის დონეზე დამხმარე სტრუქტურების გაძლიერების მხარდაჭერა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობისა და ტექნოლოგიების გადაცემისთვის

✓ ფონდი მიიღებს აქტიურ მონაწილეობას აკადემიურ წრეებსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის კავშირების დამყარებაში;

✓ გააფორმებს ხელშეკრულებას უნივერსიტეტებთან ტექ.ტრანსფერის ერთეულების დახმარების გასაწევად შესაბამისი ღონისძიებების აქტიური მხარდაჭერით და მათში ჩართულობით;

✓ გაუწევს დახმარებას ოფიციალური პროცედურების დროს, როგორიცაა საგარანტიო წერილის გაცემა, პოლიტიკის საკითხებზე დიალოგებში მონაწილეობა და ა.შ.

• დაფინანსების ინსტრუმენტები: დაფინანსების ინსტრუმენტების მოდიფიცირება და შემუშავება, რათა მოხდეს საერთაშორისო სამეცნიერო და ბიზნეს საზოგადოებას შორის კავშირის გაძლიერება

✓ ამოქმედდება ნაცვალგების პრინციპი, რომელიც საშუალებას მისცემს უცხოელ პარტნიორებს მონაწილეობა მიიღონ ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში და ისარგებლონ ევროკავშირის დაფინანსების ინიციატივებით.

• დაფინანსების ინსტრუმენტები: ევროკავშირის დაფინანსების ინსტრუმენტების სრულად გამოყენება (მაგ. Horizon Europe, Erasmus+, European Universities Activities)

ფონდი მზად არის მიიღოს მონაწილეობა ისეთ კონკურსებში, რომლებიც აძლიერებს მეცნიერება-ბიზნესს შორის კავშირებს.

რუსთაველის ფონდი ხელს შეუწყობს შესაბამისი ბიზნეს კომპანიებისა და კონსორციუმების დაკავშირებას სამეცნიერო წრეებთან. ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მიზნით, საქართველოს სამეცნიერო ორგანიზაციებს სრული უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ევროკავშირის საგრანტო კონკურსებში, ისევე როგორც Euraxess Georgia Network-ის სტარტაპში, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველ მეცნიერებს ჰქონდეთ წვდომა შესაბამის კონკურსებზე და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.

პოტენციური აქტივობები

<u>მეცნიერებასა და ბიზნესს შორის საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება</u>

• ეროვნულ დონეზე საშუამავლო ღონისძიებების ინიცირება/ორგანიზება

✓ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის შესაძლო პერსპექტივების შესახებ;

✓ პოტენციური საერთაშორისო პარტნიორების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

• შესაბამისი საერთაშორისო (დაფინანსების) პარტნიორების მოძიება (ევროკავშირის საუკეთესო წევრები ან ასოცირებული წევრები)

✓ პარტნიორობის მოთხოვნის გამოყენება – კონსორციუმებში მონაწილეობის შეთავაზება პროექტის ერთობლივი განხორციელების მიზნით.

• სათანადო საშუამავლო ღონისძიებების მოძიება საერთაშორისო დონეზე

✓ ქართული კვლევითი და ინოვაციური საზოგადოების მობილიზება საერთაშორისო საშუამავლო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

- შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მობილიზება საშუამავლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად

✓ ქართული კვლევითი ერთეულების წაახალისება აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო თანამშრომლობაში.

- მონაწილეობა საშუამავლო ღონისძიებებში საერთაშორისო დონეზე, მაგ. ევროპის მეწარმეთა კავშირი EEN, ევროპული საზოგადოება EC

✓ მოგზაურობის ხარჯების უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეებისთვის აკადემიური და კერძო სექტორიდან საზღვარგარეთ საშუამავლო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

- ორმხრივი საშუამავლო ღონისძიებების ორგანიზება ერთ-ერთ შერჩეულ საერთაშორისო პარტნიორთან

✓ როგორც დამფინანსებელი ორგანიზაცია, ფონდი მხარს დაუჭერს ინიციატივას ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებს შორის კავშირების დამყარების კუთხით.

- ეროვნული პლატფორმის შექმნა შესაბამისი პოლიტიკური, მეცნიერებისა და ბიზნესის დაინტერესებული მხარეებისთვის (მაგ. დამფინანსებელი ორგანიზაციები, სავაჭრო პალატა, ეროვნული საკონტაქტო პირები, კვლევითი ინსტიტუტები, მომსახურების ოფისები და სხვა ბიზნეს კომპანიები.) რათა გაიზიარონ ცოდნა სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო განვითარებაზე, ასევე თანამშრომლობის შესაძლებლობებზე აკადემიასა და კერძო სექტორს შორის.

- ეროვნული პლატფორმის შექმნის ხელშეწყობა; საქართველოში შესაბამისი ორგანიზაციების ჩართვა და ურთიერთდაკავშირების გაძლიერება.

სამეცნიერო დიპლომატიის გაძლიერება ქართული დიასპორის ჩართულობით ქვეყნის სამეცნიერო ეკოსისტემის განვითარებისთვის

მიზნების აღწერა

ბევრი ქართველი მკვლევარი, რომელიც მოღვაწეობს საზღვარგარეთ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეცნიერო დიპლომატიის, როგორც „რბილი ძალის" განვითარებაში, რომელიც აკავშირებს ქვეყნებს და ქმნის კეთილ ნებას დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისთვის. მათივე ძალისხმევით შენდება სამეცნიერო ხიდები, რომლებიც საქართველოსა და დიასპორის მეცნიერთა ერთობლივი კვლევითი საქმიანობის გზას წარმოადგენს. ამ გზით, ქართულ მეცნიერებას შეუძლია გამოიყენოს საზღვარგარეთ ცნობილი ქართველი მეცნიერების პოტენციალი, რათა ხელი შეუწყოს საქართველოში სამეცნიერო სისტემის განვითარებას.

არაერთი ქართველი მკვლევარი წარმოადგენს სამეცნიერო დიპლომატს, რამდენადაც ისინი ღონეს არ იშურებენ ადამიანებსა და სამეცნიერო წრეებს შორის კავშირების გასაძლიერებლად და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოსა და საზღვარგარეთ პარტნიორ ქვეყნებს შორის სამეცნიერო დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებაში.

ფონდის ერთ-ერთი მიზანია შექმნას კავშირების დამყარების შესაძლებლობა ქართულ სამეცნიერო დიასპორასთან მათი ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენების მიზნით ქვეყნის სამეცნიერო ეკოსისტემის განვითარებისთვის.

ამ მიზნებს წარმოადგენს:

✓ კვლევისა და კვლევის პოლიტიკაში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;

- ✓ მყარი კავშირების შექმნა ქართულ დიასპორასა და საქართველოს პოლიტიკის შემქმნელებს შორის, ასევე ქართულ კვლევით და ინოვაციური წრეებს შორის ორმხრივი სარგებლისთვის;
- ✓ სამეცნიერო დიპლომატიის მხარდაჭერით ინტერნაციონალიზაციის პროცესის სტიმულირება;
- ✓ ახალი ხიდების შექმნა ერებს შორის პოტენციური თანამშრომლობისთვის;
- ✓ ევროპული ღირებულებებისა და პრინციპების მხარდაჭერა R&D თანამშრომლობაში (მაგ. კვლევის ეთიკა).

პოტენციური საქმიანობის სფეროები

✓ სპეციალური მიზნობრივი პროგრამის გამოცხადება საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების მონაწილეობით კვლევაზე, რათა დამყარდეს მჭიდრო, პროფესიული ურთიერთობა უცხოეთის სამეცნიერო და კვლევით ცენტრებში მოღვაწე წარმატებულ თანამემამულე-მეცნიერებთან მათი სამეცნიერო პოტენციალისა და გამოცდილების გამოყენების მიზნით;

✓ ინფორმაციის გაავრცელება SRNSFG საგრანტო პროგრამები შესახებ, რამდენადაც ისინი დასაშვებია და ხელმისაწვდომია დიასპორისთვის;

✓ ვირტუალური ქსელის შექმნა ინფორმაციის გავრცელების, ცოდნის გაზიარების, რეკომენდაციების და საუკეთესო პრაქტიკის მისაღებად;

✓ ვირტუალურ ქსელში კონფერენციების, მრგვალი მაგიდების, სემინარების მოწყობა;

✓ ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერით ქართველი მკვლევარების, პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მომზადება თუ როგორ გამოიყენონ სამეცნიერო დიპლომატიის ინსტრუმენტები.

გეგმის შემდგომი განვითარება

მართვის მექანიზმები

სტრატეგიის განხორციელდება რუსთაველის ფონდსა და სამინისტროს შორის მჭიდრო კოორდინაციით უმაღლესი მენეჯმენტის დონეზე. ფონდის საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის ოფისის ხელმძღვანელს. სტრატეგიის თითოეული პუნქტისთვის შეიქმნება ინდივიდუალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება ფონდის შესაბამისი დეპარტამენტების მონაწილეებისგან და საჭიროების შემთხვევაში გარე დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისგან.

კონტროლის მექანიზმები

სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობა შეფასდება რეგულარულად, წელიწადში ერთხელ მაინც, ფონდის მენეჯმენტის მიერ მომზადებული ანგარიშით.